სსიპ - კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2020-2021 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2021 წელი

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, რათა გაძლიერდეს კოლეჯში დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ერთწლიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2019-2020 სასწავლო წლის პერიოდში.

2020-2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მოქმედებათა გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით.

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გაიწერა დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა.

2020-2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სამოქმედო გეგმის შესრულება ასევე საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ და გაანალიზებულ იქნა 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რომლის შედეგებზეც დაფუძნებულ იქნა 2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121\ნ ბრძანების საფუძველზე. კოლეჯი წარმოადგენს სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის” უფლებამონაცვლეს, რომელიც 2012 წელს დაფუძნდა.

კოლეჯის მიზანია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული სასწავლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ისინი მუდმივად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. კოლეჯი აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლო ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა/მსმენელმა ხარისხიანი სწავლება გაიარონ.

სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევებისა და სხვა სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და მოდულების ადაპტირების, განხორციელების, სწავლების მიმდინარეობის პროცესში.

მაქსიმალურად ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ/სსსმ-სტუდენტები წარმატებული იყვნენ.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ 2019 წლიდან 6 წლის ვადით მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის, კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	*პროგრამის დასახელება*	*კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით*					
		I	II	III	IV	V	შენიშვნა
1.	ბუღალტრული აღრიცხვა	–	–	–	–	99	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
2.	ვებ პროგრამისტი	–	–	–	–	115	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
3.	ინფორმაციის ტექნოლოგია	–	–	60	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
4.	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	–	–	75	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
5.	საოფისე საქმე	–	–	–	59	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
6.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	–	–	–	90	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
7.	საფინანსო სერვისები	–	–	51	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
8.	სამკერვალო წარმოება	–	–	99	-	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
9.	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	–	–	–	90/143	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
10.	გრაფიკული დიზაინის შესრულება	–	–	–	90/143	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
11.	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	–	–	–	83	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი)
12.	ვებტექნოლოგიები	–	–	–	63/114	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5,5 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
13.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	–	–	58	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
14.	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	–	–	57	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
15.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	–	–	81	–	–	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)

პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი

ამ ეტაპისთვის, კოლეჯის სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი განსაზღვრულია **592** პროფესიული სტუდენტით, რაც სრულად კომპლექტდება ახალი მიღებებისათვის. სამომავლოდ, დაგეგმილია გაიზარდოს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არანაკლებ 950-მდე, ახალი პროგრამების დამატებისა და სასწავლო სახელოსნოების ამოქმედების გზით. კოლეჯში ფუნქციონირებს სასწავლო დანიშნულების 25 აუდიტორია/ლაბორატორია და სრულად აღჭურვილი ავტოტექმომსახურების სახელოსნო.

ახალი სასწავლო პროგრამების საჭიროება და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

2020-2021 წლებში, მიუხედავად პანდემიისა და დისტანციური სამუშაო რეჟიმისა, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის" ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში კოლეჯმა შეიმუშავა „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით (N979877, 12.10.20; N979878, 12.10.20; N979880, 12.10.20), 2020-2021 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული სახელოსნოს მშენებლობა წარმატებით დასრულდა და სრულად აღიჭურვა მაღალტექნოლოგიური ამწეებითა და ინსტრუმენტ-დანადგარებით.

აღნიშნულ პროგრამებზე რეგისტრაციის პროცესი განხორციელდა 2021 წლის აგვისტოდან. ამ პროგრამების დამატება (შემავალი 3 კონცენტრაციით) 2021 წლის მიღებისთვის კონტინგენტს გაზრდის 120-ით (თითოეულ სპეციალობაზე 40 სტუდენტი 2 ცვლაში).

ასევე, 2021 წელს დაგეგმილი იყო მოდიფიცირების პროცესში არსებული პროგრამის, „მძიმე სამშენებლო მანქანების ოპერატორი“ დამატება, თუმცა ამ პროცესმა 2022 წლისთვის გადაინაცვლა.

კოლეჯში არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი

2020 წლის სექტემბერ-ნოემბერის პერიოდში კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ე.წ. ჰიბრიდულ რეჟიმში, ანუ როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურად, 2020 წლის დეკემბრიდან კი, მთავრობის დადგენილების თანახმად, დაწესებულება სრულად გადავიდა დისტანციური სწავლების ფორმაზე. 2021 წლის განმავლობაში მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის მიერ, სისტემატურად ხორციელდება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება ონლაინ სწავლების რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა ცხრილით გათვალისწინებული სალექციო საათების დაწყებისა და დასრულების დროზე, მსმენელების დასწრებაზე, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალიწინებული თემატიკისა და სწავლების მეთოდებზე დაკვირვება. მონიტორინგს დაექვემდებარა დისტანციურ რეჟიმში სწავლებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარება. კოლეჯი აწარმოებს დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ჩაწერასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით შეფასების მტკიცებულებებთან ერთად შესაძლო მონიტორინგის მიზნებისათვის. ავტორიზაციის სტანდარტისა და ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩატარდა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების პროგრამის განხორციელება

2020 წლიდან კოლეჯი ახორციელებდა 1 ხოლო 2021 წლიდან უკვე 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ესენია: „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ და „ვებტექნოლოგიები“. პროგრამების შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ქვეყანაში არსებული ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, პროგრამები მიმდინარეობს დისტანციური რეჟიმში, მათში შემავალი მოდულების სპეციფიკის განთვალისწინებით. კოლეჯში დისტანციური სწავლების მიზნით გამოყენებული ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედებს შიდა მექანიზმები: შესაბამისი სპეციალისტ(ებ)ი ასრულებენ დისტანციურ რეჟიმში სწავლების განხორციელების პროცესის მონიტორინგს, რომლის ფარგლებშიც ხდება ცხრილით გათვალისწინებული სალექციო საათების დაწყებისა და დასრულების დროზე, მსმენელების დასწრებაზე, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებით გათვალიწინებული თემატიკისა და სწავლების მეთოდებზე დაკვირვება. მონიტორინგს ექვემდებარება დისტანციურ რეჟიმში სწავლებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დახმარება. კოლეჯი აწარმოებს დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ჩაწერასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით შეფასების მტკიცებულებებთან ერთად შესაძლო მონიტორინგის მიზნებისათვის.

2021 წლის მარტში კოლეჯმა წარადგინა განაცხადი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით.

არსებული ადამიანური რესურსის შეფასება

ამ დროისათვის, დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა სრულად სერტიფიცირებულია, ხოლო დანარჩენებს ნაწილი კურსებისა გავლილი აქვთ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, 2020-2021 წლებში ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი ონლაინ სწავლების დანერგვის მიზნით, სასწავლო პლატფორმების ათვისებასთან დაკავშირებით.

განათლების ხარისხის განვითარება

აქტიური თანამშრომლობა ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (შემდეგში-EQE). 2019 წლიდან კოლეჯი ჩართულია გარეგერიფიკაციისა და თვითშეფასების კითხვარის შევსების პილოტირების პროცესში.

ახალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა და დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შიდა მარეგულირებელი წესი. საერთო შეფასებებით, კოლეჯი განსაკუთრებით აქტიურია და გახსნილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პროგრამებში მოდიფიცირების/ცვლილებების პროცესში (მაგ. 2019.12. – „ინფორმაციის ტექნოლოგია"; 2020.02. - „მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი" და ა.შ.). განსაკუთებულ კონტროლზეა განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების სისტემა. პრიორიტეტულია - პროფესიული, მომზადება-გადამზადების პროგრამები და მათი ხარისხის უზრუნველყოფა; პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების განვითარება.

2021 წლის ივნისის პირველ დეკადაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, ტრენინგზე კითხვარების შედგენის საკითხი საკმაოდ აქტუალურად დაისვა დაწესებულებების მხრიდან, რის შემდეგაც ცენტრის წარმომადგენლებმა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესთავაზეს მათ მიერ შემუშავებული კითხვარების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მათი დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ ტრენინგის მასალა (მათ შორის, კითხვარები) მოგვეწოდა ივნისის ბოლოს, გამოკითხვის მეორე ეტაპი ივნისში არ ჩატარებულა, რადგან დაიგეგმა კოლეჯში არსებული ყველა კითხვარის მოდიფიცირება, რათა შინაარსობრივად დაიხვეწოს და მაქსიმალურად მოიცვას ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული კომპონენტი.

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე შემცირება კოლეჯის განვითარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია იმ საგანამანათლებლო პროგრამით, რომელიც დაასრულა და დადებითად აფასებენ კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სერვისებსა და მომსახურებას. აქამდე არსებული კვლევების ანალიზის მსგავსად, განთესვის ძირითადი მიზეზია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პარალელურად უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ან დასაქმება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია, აღნიშნული რეგულაცია ხარისხიანი განათლების მიცემის ერთ-ერთი კომპონენტია.

პროგრამების მიხედვით არსებული კვოტები და მიღებულ სტუდენტთა თანაფარდობა

2018 წლიდან კოლეჯი მოდულურ პროგრამებზე სრულად გადავიდა, რაც განხორციელდა შრომის ბაზრის რეალური მოთხოვნების გათვალისწინებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე.

2020 წლის მიღების სტატისტიკა

N	პროგრამა	დო ნე	კვოტა	მისაღებსტ.-რ-ბა	გამოცხად ებული ადგილები	რეიტი ნგული სია	ჩარიცხვა							სასწავლო ჯგუფ	საგამოცდო ენა		
							სსსმ	A2 /B1	სულ	ვაკანსია	მეორადი	ფორს	სულ		RUS	AZ	RM
1	ბუღალტრული აღრიცხვა	5	80	40	40	40			37	3	3	1	41	214-215			
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	3	75	40	40	40	3	1	39	1	1		40	212-213	1		
3	მ.შ. დუალური		5		0								0				
4	საოფისე საქმე	4	40	20	20	11		1	11	9	2		13	216			
5	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	4	40	20	20	17			14	6	0	2	16	217			
6	საფინანსო სერვისები	3	40	20	20	20		2	18	2	2		20	218	1		
7	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	4	20		0					0			0		1		
8	მ.შ. ინტეგრირებული		20	20	20	20		1	16	4	0		16	219			
9	სამკერვალო წარმოება	3	32	13	13	13		1	13	0	0		13	220	1		
10	გრაფიკული დიზაინის შესრულება	4	20										0		1		
11	მ.შ. ინტეგრირებული		20	20	20	17		1	14	6	1		15	221			
12	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	4	40	20	20	15			14	6	0		14	222			
13	ვებტექნოლოგიები	4	20										0				
14	მ.შ. ინტეგრირებული		20	20	20	20			18	2	2		20	223			
	სულ:		472	233	233	213	3	7	194	39	11	3	208		5	0	

პროგრამის დასახელება	დონე	ინტეგრირებული/ არაინტეგრირებული	განხორციელების ფორმა	კვოტა
ბუღალტრული აღრიცხვა	5	არაინტეგრირებული	მოდულური	80
ინფორმაციის ტექნოლოგია	3	არაინტეგრირებული	მოდულური	75
ინფორმაციის ტექნოლოგია დუალური	3	არაინტეგრირებული	დუალური	5
საოფისე საქმე	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
საფინანსო სერვისები	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
სამკერვალო წარმოება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	32
მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	3	არაინტეგრირებული	მოდულური	40
გრაფიკული დიზაინის შესრულება	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ინდუსტრიული დიზაინის შემსრულებელი	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ვებტექნოლოგიები	4	არაინტეგრირებული	მოდულური	40
ჯამი				592

ინკლუზიური განათლება

კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2020 წლის 30 ნოემბრიდან კოლეჯი სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. დისტანციური სწავლების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სსსმ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები. რომელთაც სასწავლო პროცესში ჩართვას საჭიროებისამებრ, ტექნიკურ მხარდაჭერას უწევდა ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2020 წლის 8 დეკემბერს, კოლეჯი დარეგისტრირდა პლატფორმაზე www.sheaghe.ge. პლატფორმის მიზანია, დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს, სხვადასხვა სერვისებზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ერთ სივრცეში.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა 11 სასწავლო მოდულის მოდიფიცირება (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა). პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ და ითვალისწინებდნენ რეკომენდაციებს, სსსმ-სტუდენტის შესაძლებლობებზე მორგებით, ახდენდნენ სასწავლო შედეგების/მიზნების მოდიფიცირებას, კრიტერიუმების გამარტივებას, აქტივობებისა და სწავლის მეთოდოლოგიის განსაზღვრას.

2021 წლის 29 ივლისს კოლეჯში გაიმართა დაწესებულების ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის განხილვა. იქიდან გამომდინარე, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის სასწავლო პროცესის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, იგი მუშავდება მართვის, ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორთა ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტში წარმოდგენილია რიგი მიზნები ინკლუზიური განათლების მიმართულებით, კერძოდ:

- სასწავლო/საწარმოო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება - შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად;
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა - თანამშრომლობის გააქტიურება კოლეჯებსა და დამსაქმებელს შორის - პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე/ პრაქტიკულ პროექტებზე /სასწავლო საწარმოში გაშვების ორგანიზება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა - ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა.

აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულია დირექცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები, სსსმ- სტუდენტები და მათი მშობლები. კონკრეტული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ხდება ერთობლივად.

დუალური მიდგომით სწავლება

2019 წელს პირველად განხორციელდა დუალურ პროგრამაზე მიღება, კერძოდ, შპს „სქაი ჰაი“-სთან თანამშრომლობით, საშემოდგომო მიღებაზე დუალურ პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ჩაირიცხა 5 სტუდენტი. სწავლება პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად თანამშრომლობით მიმდინარეობს წარმატებით.

2019-2020 წლებში გერმანული ორგანიზაცია GIZ-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაოები არჩევითი კონცენტრაციის დუალური „საწყობის ლოჯისტიკა“ დასამატებლად 2021 წლის მიღებისათვის (კვოტა- 40, პირველი მიღებაზე - 20 სტუდენტით).

კოლეჯის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის პრაქტიკული სწავლების გაძლიერება და დუალური პროფესიული განათლების დანერგვა, რომელიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს. დუალური პროფესიული განათლება ინფორმაციის ტექნოლოგიის მიმართულებით უკვე დაინერგა და წარმატებით მიმდინარეობს. მისი მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროფესიული სტუდენტი, როგორც თეორიულ ცოდნას იღებს, ასევე ეუფლება პრაქტიკულ უნარ- ჩვევებს უშუალოდ სამუშაო გარემოში. დუალური პროფესიული განათლების დანერგვაში კოლეჯს აქტიური როლი მიუძღვის, რაც პროფესიული კადრების შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. სამომავლოდ ის დამსაქმებლებთა ინტერესებს სასწავლო დაწესებულებასთან დააკავშირებს. ასევე დამსაქმებელს საშუალება ეძლევა უშუალოდ წარმოებაში ადევნოს თვალყური მომუშავე სტუდენტს, შეაფასოს მისი შრომისადმი დამოკიდებულება, შეარჩიოს სასურველი კადრი და სხვა.

პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები

ესტონურ მხარესთან პარტნიორობით, კერძოდ, ტალინის ეკონომიკური სკოლისა და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით ერთობლივად შემუშავდა პროფესიული მომზადების პროგრამა „სოციალური მედიის მართვა“, რომლის განხორციელების უფლებაც მოიპოვა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების/პორფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის N03 გადაწყვეტილებით. აღნიშნულ პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკოორდინაციო ჯგუფის, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თბილისის ოფისის ერთობლივი ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოცხადდა რეგისტრაცია, პროფესიული მომზადების პროგრამაზე „სოციალური მედიის მართვა“ 2020 წლის 25 აგვისტოდან 2020 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით. ერთობლივი პროგრამა მიზნად ისახავდა შშმ პირთა პროფესიული უნარების განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და დასაქმების ხელშეწყობას. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვა 5 მსმენელმა. 2020 წლის 25 ნოემბრიდან „სოციალური მედიის მართვის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში და მოიცავს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს. პროგრამის კურსდამთავრებულებზე გაიცემა ორენოვანი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პროგრამა დასრულდა 2021 წლის აპრილში. კოლეჯის 2019-2022 წლების ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩატარდა აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი ინსტრუქტორებისა და მსმენელების გამოკითხვა ელექტრონული კითხვარების საშუალებით, ხოლო გამოკითხვის ანალიზის შედეგად შემუშავდა სათანადო რეკომენდაციები.

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა სკოლებში

2020 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, კოლეჯმა პროფესიული უნარების კურსები „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“ და „პროფესიული უნარების განვითარების კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიებში“ განახორციელა რამდენიმე საჯარო სკოლაში, მათ შორის, რეგიონებშიც. აღსანიშნავია, რომ კურსები უნდა განხორციელებულიყო, როგორც სკოლების ბაზაზე, ასევე კოლეჯში. სამწუხაროდ ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით აღნიშნული პროგრამები 2021 წელს ვეღარ განხორციელდა.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში 2021 წლიდან გაგრძელდა/განახლდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“. კერძოდ, დისტანციური რეჟიმის გამო, შეჩერებული იყო სასწავლო პროცესი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში შემუშავებულ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ვებპროგრამირება-Front”, „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შემკეთებელი“, „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირება“ და „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ მოკლევადიანი პროგრამები, ხოლო დანარჩენი კურსი, რომელიც დისტანციურ რეჟიმში ხორციელდებოდა („სალაროს ოპერაციების განხორციელებისას საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა, და მათი დამცავი ნიშნების ამოცნობა“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“) 2021 წლის 15 თებერვლიდან აღდგა და დასრულდა რეალურ სასწავლო გარემოში.

ამასთან, 2021 წლის 17 თებერვალს ისევ გამოცხადდა რეგისტრაცია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში შემუშავებულ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ციფრული მარკეტინგი“, „UI/UX დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“, „დეველოპმენტი (basics)“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“, „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“ და „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“. აღნიშნული პროგრამები წარმატებით დასრულდა.

გარდა ამისა, 2021 წლის 1 აპრილს დაიწყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტი“ ფარგლებში შემუშავებული მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“, რომელიც დასრულდა ამავე წლის 10 ივლისს.

2021 წლის 14 ივნისს დაიწყო „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“, რომელიც ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“-ის ფარგლებში იყო გამოცხადებული. აღნიშნული პროგრამა, რომელიც ამავე წლის 23 ივლისს დასრულდა.

27 ოქტომბრიდან გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის. „პანდემიით დაზარალებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის პროექტი” ითვალისწინებს პანდემიით დაზარალებულ ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პროფესიული უნარების განვითარების გზით, შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, სოციალურ ინტეგრაციას და დასაქმების ხელშეწყობას.

თანამშრომლობა კერძო სექტორთან კომპანიებთან პროფესიული მომზადება-გადამზადების ფარგლებში

ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრსა და კოლეჯს შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“. პროგრამა ითვალისწინებდა ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის მსმენელების საგანმანათლებლო მომსახურებას (ტრენინგის ორგანიზება/ჩატარება), სწავლების ხელშეწყობას, პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი. სულ გადამზადდა ა(ა)იპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის 16 მსმენელი, რომლებსაც გადაეცათ პროგრამის გავლისა და დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

FAB-LAB-ის პროექტის განვითარება - ის ნებისმიერს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები და ამავდროულად, შეიძინოს ახალი ცოდნა მათი ბიზნეს პროექტებად ქცევის სახით. ამ მიზნით, 2020 წლის მიღებიდან შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, ჩატარდა ონლაინ ექსკურსიები და ონლაინგანხილვები, გაიმართა თემატური შიდა კონკურსები საუკეთესო პროექტების გამოსავლენად. სამომავლოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოხერხდეს ლაბორატორიის ფუნქციურად მეტი დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების/კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში.

პარტნიორობა კერძო და ადგილობრივ სექტორთან

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს და მაქსიმალურ გათვლას აკეთებს კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაში, რათა სტუდენტებმა/მსმენელებმა შეძლონ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკის გავლა, რაც გულისხმობს კოლეჯის სტუდენტთა სამუშაო გარემოსთან შეგუებას და პროფესიის

შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას/დახვეწას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მიუხედავად ახალი ვირუსით გამოწვეული პანდემიისა და რეალურ გარემოში სწავლის შეწყვეტის გამო დისტანციურ, ონლაინრეჟიმში სწავლების დანერგვისა, 2020-2021 წწ. ქვეყნდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა კერძო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით ასევე, ინდივიდუალურად წარმოებდა რეკომენდაციების მიცემა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო პროგრმებიდან გამომდინარე მხოლოდ 2020-2021 წწ. 200-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა სხვა სფეროების კომპანიებთან.

თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე

2020-2021 წწ. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ თვითმმართველობის ყველა რგოლთან, განსაკუთრებით გლდანის რაიონის მუნიციპალურ და ქ. თბილისის საქალაქო სამსახურების დონეზე, მიმდებარე საჯარო სკოლების ადმინისტრაციებთან. შედეგად, მობილიზებულ იქნა ყველა რესურსი თბილისიდან და რეგიონებიდან 2020 წლის მიღებისათვის კოლეჯში სწავლების მეტი მსურველის მოსაზიდად.

- კოლეჯი გახსნილია საჯარო და კერძო სკოლებისთვის, იგულისხმება როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე ფართო სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, მასწავლებლები, მშობლები). 2020.02.-ში ამოქმედდა მხარდამჭერი ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“ და ნებისმიერ დროს, დაინტერესებულებს შესაძლებლობა აქვს გაეცნონ ჩვენს პროგრამებს და ელექტორნული კალენდრის მეშვეობით, გამოთქვან სურვილი (დარეგისტრირდნენ) ვიზიტზე. ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორეც მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების შეთავაზება.
- ასევე კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე მოქმედებს ე.წ. „ვირტუალური ტური კოლეჯში“, რომელიც ონლაინ რეგისტრაციის საფუძველზე იძლევა კოლეჯის დათვალიერების შესაძლებლობას სახლიდან გაუსვლელად.

თანამშრომლობა არასამთავრობო სექტროთან

ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისთვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, კონსულტაციებსა და ტრეინინგ-სემინარებს.

- არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით და გერმანიის ფედერალური სამინისტროს BMZ (SEQUA) მხარდაჭერით პროფესიული განათლებისა და სწავლების პარნიორობის პროექტის ფარგლებში, 2020 წლის 5 და 6 მარტს ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისთვის კოლეჯებისა და საწარმოთა პრაქტიკული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კომპონენტების შესახებ, სადაც განხილულ იქნა პროფესიული სასწავლებლებისა და კომპანიების ურთიერთთანამშრომლობა გერმანული 4 საფეხურიანი სწავლების მეთოდების მაგალითზე.
- 2020 წელს გერმანული ორგანიზაცია GIZ-ის მიერ კოლეჯს გადმოეცა მნიშვნელოვანი რესურსი კომპიუტერული და საილუსტრაციო ტექნიკის სახით სასწავლო და მატერიალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სახით.

პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა

2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის აგვისტოს განმავლობაში, სპეციალობებიდან გამომდინარე 200-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროში მოღვაწე კომპანიებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროფესიული განათლების პროგრამების სტანდარტების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარებისა და განხორციელების პროცესში, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ცვლილების შეტანის ეტაპზე.

კოლეჯის მიერ ჩატარებული პროფორიენტაციის ღონისძიებები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის, როგორც ოფიციალური ვებ-გვერდის, ისე სოციალური ქსელის საშუალებით ასევე, საჯაროდ ვრცელდება სარეკლამო ბროშურები, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას ნებისმიერ აქტივობასთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

- 2020 წლის 25 აგვისტოს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის თბილისის ოფისის ერთობლივი ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოცხადდა რეგისტრაცია პროფესიული მომზადების მოკლევადიან პროგრამზე „სოციალური მედიის მართვა“. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკოორდინაციო ჯგუფის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი პროგრამა მიზნად ისახავდა შშმ პირთა პროფესიული უნარების განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და დასაქმების ხელშეწყობას.
- 2020 წლის 18 ოქტომბერს ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“ ფარგლებში გაიმართა ონალიან შეხვედრა, სადაც წარმოდგენილ იქნა „პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება განათლების სფეროში 2020-2025“ სტრატეგიის სამუშაო ვერსია.
- 2020 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა პროფესიულ სასწავლებლებთან და პროფესიული განათლების პროცესებში მონაწილე სექტორულ ასოციაციებთან. შეხვედრის მიზანი იყო, პროფესიული სასწავლებლებისა და პროფესიული განათლების პროცესებში ჩართული სექტორული ასოციაციებისთვის ქალთა გაძლიერების პრინციპების გაცნობა და მათი

კერძო სექტორთან თანამშრომლობის წახალისება, ქალთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.

- 2020 წლის 12 ნოემბერს კოლეჯში გაიმართა სისხლის უანგარო დონაციის აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დაწესებულების თანამშრომლებმა და პროფესიულმა სტუდენტემა.
- 2020 წლის 19 ნოემბერს კოლეჯში გამოცხადდა პირბადეების დიზაინის შიდა კონკურსი. ბუნებრივია, რომ პირბადეების ტარების ვალდებულებამ ადამიანებში კრეატივი გააღვიძა და ქუჩებში სხვადასხვა ფერის და დიზაინის პირბადეებს ვხვდებით. სწორედ ამიტომ, კოლეჯმა გამოცხადსა პირბადების დიზაინის კონკურსი, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეები თავიანთი გემოვნებით გაფორმებულ პირბადეს (მოხატული, შეღებილი, შეკერილი და ა.შ.) წარმოადგინეს.
- 2020 წლის 20 ნოემბერს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის, დისტანციურ რეჟიმში, გაიმართა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილ იქნა კვლევის ძირითადი მიგნებები და ის გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას კერძო სექტორი, როგორც კადრების საჭიროების, მათი კვალიფიკაციის, ასევე პანდემიით გამოწვეული სირთულეების თვალსაზრისით.
- 2020 წლის 11 დეკემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა პრეზენტაცია თემაზე: „მულტიპლიკატორთა როლი კომპანიასა და კოლეჯს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და კომპანიის დონეზე პრაქტიკული კომპონენტის კარგი მართვისთვის“.
- 2021 წლის 17 მარტს „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის" (ICCA) მიერ ჩატარდა დასაქმების ონლაინ ფორუმი, სადაც ჩართული იყო კოლეჯის 18 სტუდენტი/კურსდამთავრებული, მათ შორის, მოკლევადიანი კურსის მსმენელები. ფორუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო გერმანიის ელჩმა საქართველოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, დასაქმების ხელშეწობის სახელმწიფო სააგენტომ, ასოციაციის წევრი კომპანიებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა.
- 2021 წლის 10 ივლისს, Elite Motors - ელიტ მოტორსისა და Volvo Construction Equipment Georgia -ორგანიზატორობით," ოპერატორთა კლუბის" რიგით მე-4 შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც კოლეჯის კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ. მათ წარმატებით იასპარეზეს მძიმე სამშენებლო ტექნიკის პროფესიონალი ოპერატორების წლის მთავარ შეჯიბრებაზე და 70-მდე მონაწილესთან ერთად სხვადასხვა პრიზი დაიმსახურეს.
- 2021 წლის 8 ივლისს კოლეჯმა დასაქმების ფორუმს უმასპინძლა, რომელიც სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, ქ. თბილისის საკრებულოსა და გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზებით ჩატარდა. ადგილზე 25 მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს კომპანიის მიერ შრომის ბაზარზე აქტიურ 500-მდე ვაკანსია იყო წარმოდგენილი. სამუშაო ადგილები მომსახურების, სავაჭრო, სასტუმრო და სარესტორნო, სამრეწველო, სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, სამშენებლო, სადაზღვევო და ჯანდაცვის სფეროებიდან იყო შეთავაზებული. ღონისძიებაზე სამუშაოს მაძიებლები შეხვდნენ დამსაქმებლებს, გაესაუბრნენ სასურველი ვაკანსიის თაობაზე პირდაპირი კომუნიკაციის გზით.
- 2021 წლის 12 ივლისიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია დაიწყო, რომელიც 20 აგვისტომდე გაგრძელდა. რეგისტრაცია მიმდინარეობდა როგორც ონლაინ, ვებგვერდზე – vet.emis.ge, ასევე, საქართველოს მასშტაბით მოქმედ რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. 2021 წლის მიღებისთვის, მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო და კერძო პროფესიული დაწესებულებები პროფესიულ სტუდენტებს, ასზე მეტი დასახელების პროგრამაზე მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ შემუშავდა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი, რომლის თანახმად, წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში იქნება შესაძლებელი ჩარიცხვა არა მხოლოდ საჯარო, არამედ ყველა კერძო დაწესებულებაში. ამიტომ, ყველა ავტორიზებული, მათ შორის, კერძო დაწესებულება სტუდენტებს მხოლოდ ერთიანი მიღების ფარგლებში, საერთო პლატფორმის მეშვეობით ჩარიცხავენ. ახალი მიდგომა გაზრდის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში, ასევე ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
- 2021 წელს გაიზარდა ინტეგრირებული პროგრამების რაოდენობაც, რაც საბაზო განათლების მქონე პირებს საშუალებას აძლევს პროფესიულ განათლებასთან ერთად სრული ზოგადი განათლებაც მიიღონ.

დასაქმება

კურსდამთავრებულთა მაღალი რაოდენობის შენარჩუნება არის კოლეჯის ერთ-ერთი გამოწვევა. ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. წინა წლებთან შედარებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი რამდენიმე პროგრამაზე გაიზარდა და შეადგინა 79%.

2020-2021 წწ. საანგარიშო პერიოდში პროფორიენტაციის ღონისძიებები, აქტივობები ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ყველა დაინტერესებული პირებისათვის, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას. ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, სსსმ/შშმ სტუდენტები/მსმენელები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ვაქვეყნებთ ინფორმაციას სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ასევე, ინდივიდუალურად ხდება: რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად; კოლეჯის საქმიანობის რეკლამირება პარტნიორი დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით; სხვადასხვა საქმიან შეხვედრაზე წარდგენილ იქნა პროგრამების პრეზენტაციები (დასაქმების ფორუმებზე; 2020.02.28-29-ს თბილისში გამართულ განათლების მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე); მოვაწყვეთ რამდენიმე თემატური გამოფენა, მ.შ. წარმატებული კურსდამთავრებულების ჩართულობით.

ბიბლიოთეკა

2021 წლის აგვისტოს ჩათვლით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა - ერთი დასახელების 236 ცალი წიგნი (36 ქსეროასლი) ჯამში 1374 ცალი.

ბიბლიოთეკაში არსებული CD დისკების რაოდენობა - ერთი დასახელების 222 ცალი (ჯამში 499 ცალი).

ზემოაღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკამ სულ შეისყიდა 5 ერთეულის დასახელების წიგნი:

ამავე წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაეცა 3 ერთეულის დასახელების წიგნი და რამდენიმე CD-დისკი.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლეს,როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა.

წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან არ ჩამოგვიწერია არცერთი დაზიანებული, მორალურად მოძველებული და სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო წიგნი.

ბიუჯეტი

კოლეჯის საბიუჯეტო დაფინანსების დამტკიცებულმა გეგმამ 2021 წლის საანგარიშო პერიოდისთვის შეადგინა 709 912.00 ლარი, საიდანაც, 691 800.00 ლარი გათვალისწინებილი იყო მუხლში „სუბსიდია“, 1200.00 ლარი მუხლით „სხვა ხარჯები“ და 16 912.00 ლარი - „არაფინანსურიაქტივების ზრდა“.

ვაუჩერის სახით მიღებულია 486 761.32 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-გაუმჯობესება მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვითა და წინასწარგანსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

2020 წლის 10 აგვისტოდან 2021 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით სულ გაფორმებულია 89 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 195 480.81 ლარი. მათ შორის 2020 წლის დაფინანსებით გაფორმებულია 34 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 59 752. 61 ლარი, ხოლო 2021 წლის დაფინანსებით 55 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 135 728.20 ლარი;

ხელშეკრულებების საერთო რაოდენობიდან:

კონსოლიდირებული ტენდერით 2020 წლის დაფინანსებით გაფორმებულია 6 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 2 767.10 ლარი, ხოლო 2021 წლის დაფინანსებით 9 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 5 128.50 ლარი;

ელექტრონული ტენდერით 2020 წლის დაფინანსებით გაფორმებულია 1 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 39 999 ლარი;

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სულ გაფორმებულია 73 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 147 586.21 ლარი; მათ შორის 2020 წლის დაფინანსებით 27 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 16 986.51 ლარი, ხოლო 2021 წლის დაფინანსებით 46 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 130 599.70 ლარი;

უძრავი ქონება

კოლეჯის განლაგების ძირითად მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 6169.30 კვ.მ. (ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.11.10.012.026, 01.11.10.012.028, მიწა - 5937 მ.კვ.), (ქ. თბილისი, მახალდიანის ქ. N7, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 01.12.20.030.022, მიწა - 536 მ.კვ.).

კოლეჯში „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად და მოთხოვნების დაცვით, ხორციელდება კოლეჯის ძირითადი აქტივების, ნედლეული და მასალების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის, კოლეჯის კუთვნილი ქონების ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა - 13580327.00 (ცამეტი მილიონ ხუთასოთხმოციათას სამასოცდაშვიდი) ლარს, აქედან კოლეჯის აქტივები - 12387268.00 ლარი, ხოლო დანარჩენი - 1193059.00 ლარის ქონება არის ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და მარაგების სახით.

2020 წლის 18 დეკემბრის N184 ბრძანებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებიდა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის“ შესაბამისად კოლეჯში ჩატარდა ინვენტარიზაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში კოლეჯმა დროულად წარადგინა 2020 წლის რეგულარული ფორმები „შრომის შესახებ“ და შემოსავლების სამსახურში ყოველთვიური დეკლარაციები „განაცემთა შესახებ“.

ამასთან, რეგულარულად მიმდინარეობს კოლეჯის საქმიანობის პროცესში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დაჯგუფება და შესაბამისად ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა. ყოველდღიურად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში მუშაობა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების სისტემაში ატვირთვა, ვალდებულებების და საგადახდო დოკუმენტების მომზადება, პირველადი დოკუმენტების და ინვოისების შექმნა.

დამატებითი ეკონომიკური საქმიანობა

მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ეძლევა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება და დაწესებულება ეცდება ამ მიმართულებით მატერიალურიტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების მობილიზებას, ასევე პროფესიულისტუდენტების/მსმენელების წახალისებას. პანდემიის გამო ეს შესაძლებლობა 2021-2022 წწ. ერთ-ერთი გამოწვევა იქნება.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებები

კოლეჯი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტების/მსმენელების მოზიდვით თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონებიდან, თუმცა სპეციფიური სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე, დიდია დაინტერესება მთიანი და საზღვრისპირა

რეგიონებიდან. სტუდენტთა/მსმენელთ გარკვეული ნაწილი კოლეჯში დადის დედაქალაქის მიმდებარე დასახლებებიდან, რაც უქმნით პრობლემებს ბინით უზრუნველყოფისა და გადაადგილებაში. მახალდიანის ქ.-ზე არსებული უძრავი ქონების გამოყენებას განვიხილავთ 2 მიმართულებით - სტუმრების განთავსების ან/და დამატებითი სასწავლო გარემოს (სასწავლო ცენტრის) მოწყობის კუთხით, რაც გაზრდის კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობასა და გეოგრაფიულ არეალს, მათ მოტივაციას და შემდგომი დასაქმების პერსპექტივებს.

კოლეჯის განვითარების დასაბუთება:

<u>ა) რეგიონის ეკონომიკური საჭიროებები</u>- კოლეჯი განლაგებულია დედაქალაქში, ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიკურად განვითარებად რაიონში. ეს ქმნის ყველა წინაპირობას, ის განვითარდეს, როგორც გარკვეულ პროფესიებში საერთო გადაკვეთის პროფესიული სწავლების ცენტრი, რისთვისაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური სექტორის მუდმივი ჩართულობისა და შრომის ბაზარზე არსებული პულსაციის ანალიზი.

<u>ბ) სოციალური საჭიროებები</u>- კოლეჯი უზრუნველყოფს მისი სტუდენტების შრომითი და სამოქალაქო ღირებულებების განვითარების პროცესს, რადგან თითოეული პროგრამის მისაღწევი

კომპეტენციების ჩამონათვალში ღირებულებების განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტი. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსების ერთობლიობამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება ყველა სახის სოციალური საჭიროებების პირთათვის.

<u>გ) საგანმანათლებლო საჭიროებები</u>- კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მათი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები უზრუნველყოფს რეგიონში მოთხოვნადი სამუშაოს განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სწავლებას/ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია კონსულტაციები დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების დასადგენად ამა თუ იმ პროფესიაზე. დამსაქმებელთა მოთხოვნები, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამების სტანდარტებთან, გასათვალისწინებელია პროფესიული პროგრამების შემუშავებისას.

<u>დ) კონკურენტი დაწესებულებები და მათი პოზიციები საგანმანათლებლო ბაზარზე</u>- ისინი წარმოდგენილი არიან სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით. მათი რაოდენობა შეზღუდულია გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, ხოლო ზოგიერთი პროგრამის მხრივ, კოლეჯი ერთადერთია ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მიზანშეწონილია სასწავლო სიმძლავრეების დამატებითი გაზრდა.

ამრიგად, 2020-2021 წწ. საანგარიშო პერიოდში, პროფესიული განათლების შესახებ კანონისა და ახალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით, სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების აღჭურვის, მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი სერვისების ჩამოყალიბება და შემუშავება.

ვფიქრობთ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში კოლეჯის განვითარების დაგეგმვის არსებული ხედვა სწორია, (მუშაობის მთავარ პრინციპები, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებზე ორიენტირება, ასევე მათი გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების დასახვა), რათა გაძლიერდეს დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. ის მნიშვნელოვანია საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს გარე თუ შიდა, მ.შ. ადმინისტრაციული და პედაგოგიური რესურსების გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

ხელს ვუწყობთ რა ისეთი ღირებულებების დამკვიდრება-განვითარებას, როგორიცაა: პროფესიონალიზმი; თანამშრომლობითი გარემოს შექმნა; გუნდური მუშაობა; სწავლის თანაბარი შესაძლებლობა; საჯაროობა; ინოვაცია; სიახლისადმი ღიაობა და სხვა. მზად ვართ გავუზიაროთ სამომავლო გეგმები ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩავრთოთ ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების ვადები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები	შესრულდა/ შესრულდა ნაწ./ არ შესრულდა
				VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII				
1	**შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება**	შრომის ბაზრის მოკვლევა	სახელმწიფო და კერძო სექტორის გამოკითხვა					*						*		კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			კურსდამთავრებულთა გამოკითხვა					*						*		კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
		მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება	სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება	სახელმწიფო, კერძო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემა		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა	ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების პროგრამის განხორციელება.	ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება, პროგრამის განხორციელება და მონიტორინგი						*	*	*	*	*	*	*	ანგარიში, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები	ადმინისტრაცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამების განხორციელება	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა		*	*	*	*		*	*	*	*	*		ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**არ შესრულდა**
			ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება				*	*	*	*	*	*				პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია	დირექცია, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**

		არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების (მ.შ. დუალური) დანერგვა/განვითარება, კონკრეტული პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა	არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი			*	*	*	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესზე დასწრების ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
			"ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის" ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სახელოსნოს მშენებლობის დასრულება და აღჭურვა		*	*	*	*	*	*						სახელოსნოს მშენებლობა	დირექცია	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
2	**ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**	კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი	ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა				*									გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა				*	*				*	*			გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა							*	*					გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			კვლევის შედეგების ანალიზი						*					*		გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
		პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	ტრენინგის დაგეგმვა			*					*					ტრენინგის გეგმა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**
			ტრენინგის ჩატარება/ მონიტორინგი/ მასტერკლასი/სერტიფიცირება				*	*				*	*	*		ტრენინგის/ მონიტორინგის ანგარიში/ სერტიფიკატი	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
		პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება	კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება			*	*					*	*			ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**

3	**სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა**	ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის უახლესი ტექნოლოგიების შეთავაზება			*	*	*	*	*	*	*	*	*		დანერგილი ინოვაცია	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად				*				*			*		ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**
		თანამშრომლობის განვითარება კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან	საწარმოო ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**
			საწარმოო/გაცნობითი პრაქტიკისთვის მემორანდუმების გაფორმება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, იურისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**
			პროფესიული სტუდენტების საწარმოო/გაცნობით პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
		არაფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმის ამოქმედება	არაფორმალური განათლების მქონე პირების გამოკითხვა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	სტატისტიკური მონაცემები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**არ შესრულდა**
			გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების გაზიარება სახელმწიფო/კერძო სტრუქტურებთან					*				*			*	სტატისტიკური მონაცემების გაზიარება	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**არ შესრულდა**

4	**კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა**	განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება	მიზეზების კვლევა					*						*		გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			კვლევის შედეგების ანალიზი						*						*	გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
			რეკომენდაციების შემუშავება						*						*	ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა ნაწილობრივ**
5	**დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება**	დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა/ განხორციელება	ახალი პროექტების შემუშავება-დაგეგმვა									*	*	*	*	ანგარიშები, პროექტები	დირექცია, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	
		სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება	სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის პოტენციალის განვითარება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ანგარიშები, პროექტები	დირექცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	
			ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს-პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება						*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები, მოლაპარაკებები	დირექცია, ადმინისტრაცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	
		პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში	პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა				*						*			გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**
			კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება					*						*		ღონისძიებები	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
			ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა			*			*			*			*	ღონისძიებები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**

6	**პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა**	პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ "ღია კარის" დღეების ორგანიზება კოლეჯში		*				*	*	*	*				ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**არ შესრულდა**
			ვებგვერდი/სოციალური ქსელებით რეკლამის წარმოება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ანონსი/რეკლამა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
			პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/ მონაწილეობის მიღება							*	*		*			ღონისძიება, ფესტივალი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში	კოლეჯის კურსდამთავრებულების მონაწილეობა "ღია კარის" დღეებში, სხვადასხვა აქტივობებში		*	*										"ღია კარის" დღე/ღონისძიება	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ადამიანური და ფინანსური რესურსი	**შესრულდა**
		კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	დასაქმებულთა სტატისტიკა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი	ადამიანური რესურსი	**შესრულდა**